№ 28 მთავრობის ფურცელი უოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. პარასკევი, 6 თებერვალი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რეს.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი უველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კორექტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ცვლახიშვილის ხელმძღვანელობით.

პარასკევს, თებერვლის 6 ს **აბესალომ და ეთერი.**

შაბათს თებ. 7-ს ოპერა მუშკებისათვის დაკრძალვას ონისაწილეობით „ჩაროვიჩკა“. კვირას, თებერვლის 8-ს დილით „ტრავიატა“, საღამოს ზულგინას ბენეფისი. „ქ-ნი ბატერფლეი“ და დიდი საღამო. ორშაბათს, 9-ს ხუთშაბათს 12 თებერვალს, საღამო ბალეტი. ლოდია ჯონსონის და კონსტანტინე ალპეროვის. სამშაბათს, დავიდოვას მონაწილეობით „ვერტერი“. ოთხშაბათს, დროზდო-პოლიაევის ბენეფისი „აფრიკელი ქალი“. 161

საქ. სატრანსპორტო საზოგადოება

საყოველთაოდ და იმ კერძო პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომელთაც თხოვნები აქვთ წარტანონ, აცხადებს, რომ შაბათს, ამა 7 თებერვალს, დილის 11 საათზე, საზოგადოების ძველ ბინაზე (პეტრე დიდის ქუჩა № 8, მესამე სართული), დანიშნულია მუშკ და სტვირთ. ავტომობილთა სჯარო ვაჭრობა. გასაყიდია შემდეგი ავტომობილები: მსუბუქი,—მცირე ტვირთ., ძველი, რკნო, შკვილეტი და ჩასაწყობი მსუბუქ ავტომობილია. სტვირთ.—ლა ბუქრი, ოვერლანდი, რკნო და ნაწილები სატვირთო ავტომობილებისა. სჯარო ვაჭრობამდე ავტომობილების გასინჯვა შეიძლება პავლოვის ქუჩაზე, საზოგადოების სახელოსნოებში, 10 საათიდან 2 საათამდე.

159 2—2 გამგეობა

ადმინისტრაციული განკარგულებანი.

განკარგულებანი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა.

27 იანვარი, 1920 წ. № 7.

ალექსანდრე პეტრეს ძე ოპოჩინინი დაინიშნოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოს მუდმივ წევრად ამა წლის 10 იანვრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

მთავრობის საქმეთა მმართველი ა. ჯაფარიძე.

—

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.

14 იანვარი, 1920 წ. № 15.

დაინიშნა: კანცელარიის მანქანაზე გადამწერი ქალია ალექსანდრეს ასული მხეიძისა კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწედ ა. წ. იანვრის 1 დან.

15 იანვარი, 1920 წ. № 16.

დაევალოს: მე-11 განყოფილების უფროსის დროებით თანამდებობის აღსრულება კანცელარიის უფროსს ბუჰკალტერს ა. ს. ვაშაკიძეს ა. წ. იანვრის 1 დან.

5 დეკემბერი, 1919 წ., № 289.

ჩაირიცხა სასამართლოს უწყებაში და იგზავნება: ქ. ტფილისის მე-10 უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის საერთო განყოფილების უფროსი ივანე ტიმოთეს ძე პოლუმარდვინოვი ამა წლის დეკემბრის 9 დან.

5 დეკემბერი, 1919 წ. № 291.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის ნოემბრის 27-ს დადგენილების ძალით განთავისუფლებულია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: თანახმად თავისი თხოვნისა სოხუმის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ვლადიმერ ვიქტორის ძე ხეიკირხ ამა წლის ნოემბრის 27 დან.

5 დეკემბერი, 1919 წ., № 292.

დროებით თავისუფლება მიეცა: ავადმყოფობისა გამო ტფილისის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეს გიორგი ვასილის ძე მელვინეთ ხუცესს ამა წლის დეკემბრის 5-დან.

5 დეკემბერი, 1919 წ. № 293.

თავისუფლება მიეცა: ავადმყოფობისა გამო სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწეს ბენედიქტე პავლეს ძე გორდეზიანს 1920 წ. იანვრის 1-მდე.

24 დეკემბერი, 1919 წ., № 315.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის დეკემბრის 13 ს დადგენილების ძალით დაინიშნა სოხუმის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე დავით ალექსანდრეს ძე მიქელაძე სოხუმის საგანგებო სასამართლოს წევრად თავის თანამდებობაზე დატოვებით ამა წლის დეკემბრის 13 დან.

29 დეკემბერი, 1919 წ., № 320.

დაინიშნა: ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორის მდივანი ალექსანდრე იოსების ძე როგალინი შულავერის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის დეკემბრის 29 დ ნ.

29 დეკემბერი, 1919 წ., № 321.

დაინიშნა: სასამართლოს თანამდებობათა კანდიდატი ვიქტორ მიხეილის ძე მამულაშვილი ქ. ქუთაისის მე-3 უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის დეკემბრის 9 დან.

იგზავნება: ქუთაისის მე 3 უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ვიქტორ მიხეილის ძე მამულაშვილი იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში ამა წლის დეკემბრის 9 დან.

29 დეკემბერი, 1919 წ. № 323.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: თანახმად თხოვნისა იუსტიციის სამინისტროს საქმის წარმოებელი ივანე გიორგის ძე ყიფიანი 1920 წლ. იანვრის 1 დან.

22 დეკემბერი, 1919 წ., № 324.

დანიშნულია: კანცელარიის მორიგ მოხელედ თამარ კონსტანტინეს ასული ამირაჯიბი 1920 წ. ივნისის 1 დან.

30 დეკემბერი, 1919 წ. № 329.

დაევალა: იუსტიციის მინისტრის მდივანს ილია ადამიძეს ამავე სამინისტროს კანცელარიის საერთო განყოფილების უფროსის თანამდებობის აღსრულება ამა წლის დეკემბრის 5 დან.

30 დეკემბერი, 1919 წ., № 339.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის დეკემბრის 23 ს დადგენილების ძალით განთავისუფლებულია თანამდებობიდან: თანახმად თავისი თხოვნისა სოხუმის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი დიმიტრის ძე სიდამონ ერისთავი ამა წლის დეკემბრის 23 დან.

9 იანვარი, 1920 წ. № 4.

დაინიშნა: კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლად ტფილისის № 2 საპყრობილეს უფროსის თანაშემწე გიორგი ნიკოლოზის ძე ნიშნიანიძე ამა წლის იანვრის 9 დან.

დეპარტამენტის დირექტორი ს. თ. ა.
გ. ჟორდანია.

—

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ოლქის უფროსისა.

20 დეკემბერი, 1919 წ., № 73.

გამწესებულნი არიან: ყოფილი ფოსტალიონი იოსებ შოთაშვილი ხელახლად ფოსტალიონათ 420 მან. ჯამაგირით წელიწადში 21 დეკემბრიდან 1919 წელსა თბილისის ფოსტის კანტორაში.

დანიშნულნი არიან: ცენტრალურ ტელეგრაფის კანტორის მოხელეები: მე 5 ხარ. ვლადიმერ ჩოჩია, მე VI ხარ. მიხეილ ცხონდია ფოსტა ტელეგრაფის მოხელეებათ იმავე კანტორაში: ჩოჩია მეორე ხარისხით და ცხონდია მეოთხეთი. ორივე პირველ იანვრიდან 1920 წელსა.

გადაყვანილნი არიან: ფოსტა ტელეგრაფის მოხელეები: სოხუმის მე 5 ხარ. მიხეილ აბულაძე და წნორის წყალის მე VI ხარ. არსენ დგებუაძე და ფოსტალიონი ქუთაისის კანტორისა ტერენტი კოკლაძე იმავე წოდებებით: აბულაძე წნორის წყალზედ, დგებუაძე—სოხუმში და კოკლაძე ცაგერში—აბულაძე და დგებუაძე 1920 წლის 1 იანვრიდან, კოკლაძე 21 დეკემბრიდან 1919 წ.

დათხოვნილი არიან სამსახურიდან: პირველი ხარისხის მოხელე ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა არშაკ ტერ-ისრაელიანცი და ფოსტალიონი თბილისის ფოსტის კანტორისა გარეგინ საფარიანცი—ფოსტალიონი იმავე კანტორისა გაძევებული თანახმად 1100 მუხ. ძალით სისხლის სამართლის კანონისა კონსტანტინე გუტერმანი. ტერ-ისრაელიანცი 1920 წ. 1 იანვრიდან, გუტერმანი 27 აგვისტოდან და საფარიანცი 1 იანვრიდან 1919 წ. სულ ყველა თანახმად თხოვნისა.

გამორიცხულნი არიან: მეხუთე ხარ. მოხელენი ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა: ვასილ ხუციევი, ივანე ანანიაშვილი და ზედამხედველი იმავე კანტორისა მიხეილ სულთანოვი და ფოსტალიონები: გალისბაგრატ ჭურღულია, სართიჭალის გიორგი სანაძე სანხედ[illegible] 15 დეკემბრიდან, ჭურღულია 1 დეკემბრიდან, სანაძე 21 ნოემბრიდან 1919 წ.

25 დეკემბერი, 1919 წ., № 74.

დანიშნულნი არიან: მეხუთე ხარისხის მოხელე ზუგდიდის კანტორისა აკაკი წულაია—ხეთის განყოფილების უფროსად. ხეთის განყოფილების უფროსი ალექსი საჯაია მეხუთე ხარისხის ზოხელეთ ზუგდიდში. სოხუმის მეექვსე ხარ. მოხელე გრიგოლ ლეჟავა მეოთხე ხარ. მოხელეთ იმავე კანტორაში. ფოსტალიონები სოხუმის კანტორისა: სერგო გომართელი და ილია ჯაჯელავა მეექვსე ხარისხის მოხელეებათ იმავე კანტორაში—სულ ყველა პირველ იანვრიდან 1920 წ.

გადაყვანილნი არიან ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი: ნოვოტრელიცკის განყოფილების სიმონ კედია, სურამის მესამე ხარისხის არჩილ ორჯონიკიძე, სოხუმის მეორე ხარ. მიხეილ ხარებავა იმავე წოდებით: კედია—სოხუმში, ორჯონიკიძე და ხარებავა ტფილისის ტელეგრაფში, სამივე 1920 წ. 1 იანვრიდან.

გამორიცხულნი არიან სიებიდან: მეექვსე ხარისხის მოხელე ფოთის კანტორისა ვლადიმერ ოქეჩკი, ზედამხედველი ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა ნიკოლოზ სტურუა—სამხედრო სამსახურში მიღების გამო, ოსეპჩკი 25 დეკემბრიდან და სტურუა 23 ნოემბრიდან 1919 წ.

დათხოვნილნი არიან სამსახურიდან: მე-5 ხარ. მოხელე ბათუმის ტელეფონის ქსელისა მარიამ თონოიანცი და ფოსტალიონი ახიჯაბულის კანტორისა ათანასე გაბისონია და ფოთის ფოსტალიონი ალექსანდრე ბოლქვაძე, გაბისონია 1918 წ. 24 მაისიდან, თონოიანცი და ბოლქვაძე თანახმად თხოვნისა 1920 წ. 1 იანვრიდან.

ოლქის უფროსი მგელაძე.

—

აქციზის სამმართველოსი.

15 იანვარი, 1920 წ., № 214.

განთავისუფლებულ იქმნენ სამსახურიდან საქიზო სამმართველოს სალიკვიდაციო განყოფილებაში სამუშაოდ დროებით მიწვეულნი: ფილიპე პეტრეს ძე შეშენინი და იაკობ გაბრიელის ძე კამიშანი—ორივენი 1 ნოემბრიდან 1919 წ.

განთავისუფლებულ იქმნა თანამდებობიდან სილნაღის თამბაქოს კონტროლიორი გიორგი პეტრეს ძე ნაცვლიშვილი მისი სილნაღის მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ დანიშვნის გამო 8 ნოემბრიდან 1919 წ.

დაინიშნენ: 8 ნოემბრიდან 1919 წ. სილნაღის თამბაქოს ქარხნის კონტროლიორად აქციზის ინსპექტორის უფროსი თანაშემწე ლევან ყაფლანის ძე ვაჩნაძე თანახმად თავისი თხოვნისა.

11 ნოემბრიდან სალიკვიდაციო განყოფილებაში მომუშავედ უმცროს საქმის წარმოებლად თამარ გაბრიელის ასული გერასიმოვისა და ნავთის ნაწარმოებთა შემოწმებელ კამერის შიკრიკად გრიგოლ გიორგის ძე ბასილაია.

26 ნოემბრიდან თამბაქოს ქარხნის კონტროლიორად ალექსანდრე იოსების ძე ნამურაძე.

1 დეკემბრიდან რეგისტრატორად მარიამ დავითის ასული კაჭირაშვილი.

6 იანვრიდან 1920 წ. თამბაქოს ქარხნის კონტროლიორად ტფილისში: ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბაქრაძე, ვლადიმერ ვსევოლოდოვის ძე ვაველოვსკი და ლუარსაბ სვიმონის ძე შატბერაშვილი.

დათხოვნილნი არიან თანახმად თხოვნისა 11 ნოემბრიდან 1919 წ. ნავთლულის ნავთის შემმოწმებელ კამერის შიკრიკი სიმონ ალექსის ძე შარაშენიძე.

3 დეკემბრიდან ბოლნისის თანაშემწე ვლადიმერ ერმილეს ძე თაყაიშვილი.

15 დეკემბრიდან მდივნის თანაშემწე აპოლონ ალექსანდრეს ძე ივნიცკი.

საქიზო სამმართველოს
უფროსი ბ. გვერდწითელი.

[illegible]
მინისტრისა.

29 ნოემბერი, 1919 წ., № 85.

ანიშნებიან: ნადრევანის საბაჟოში: მთავარ საბაჟოს ძდივნის უფროსი თანაშემწე ი. გუგუშვილი გამგეთ 1 ნოემბრიდან 1919 წ.

ნატანების საბაჟოში: მთავარ საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უმცროსი თანაშემწე ა. დეკანოზიშვილი კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებლად 1 ნოემბრიდან ა. წ.

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის
მინისტრი კ. კანდელაკი.
მთავარ საბაჟოს გამგე ბ. მიქაძე.

—

შეცდომის გასწორება.

„საქ. რესპ.“—ის № 25-ში ოფიციალურ განყოფილებაში შეცდომით დაბეჭდილი იყო განკარგულებანი: საქართველოს სენატის დეპარტამენტისა „საქართველოს სენატის“ თავმჯდომარე დ. ხელთუფლიშვილის ხელმოწერილი. უნდა ყოფილიყო: 1) „საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საქმეთა მინისტრაციო განყოფილებისა“ სენატორ გრ. გველესიანის ხელმოწერით. 2) „საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტისა“ სენატის პროკურორის მ. ღვალიშვილის ხელმოწერით. 3) „საქართველოს სენატისა“ სენატის თავმჯდომარე დ. ხელთუფლიშვილის ხელმოწერით და 4) „სენატის თავმჯდომარისა“ საქართველოს სენატის თავმჯდომარის დ. ხელთუფლიშვილის ხელმოწერით.

არა ოფიციალური განყოფილება

შრომის სამინისტროში

60 პროც. მომატების გარშემო.

ტფილისის რკინის ჩამომსხმელ მუშათა პროფეს. კავშირი სთხოვს შრომის სამინისტროს, რათა ახალი მომატება ყველა დაწესებულების მუშებზე ერთნაირათ გავრცელდეს 60%-ის ანგარიშით და 1 იანვრიდან.

ავათმყოფობის გამო მუშებისათვის დახმარების შეხახებ.

ავათმყოფობის გამო მუშების უზრუნველყოფის დებულების § 360 (60)-ის ძალით

საერთო საქალაქო საავთმყოფო კასიდან მუშებს ავათმყოფობის დროს დახმარება ეძლეთ იმ ჯამგირის ანგარიშით, რომელიც დაწესებული იყო მუშებისთვის იმ მომენტისთვის, როდესაც მუშა ავათ ხდება. საავათმყოფო კასის გამგეობამ დაადგინა: ავათმყოფ მუშაებზეც გავრცელდეს ხანგრძლივ მოპატიბები.

შრომის სამინისტრომ კანონის საგუძველზე ეჩვენა ასეთი დადგენილება და განუმარტა საერთო საავთმყოფო კასის გამგეობას, რომ განაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება კანონის ზემოხსენებულ მუხლის გამონაკლისის დაშვება, მხოლოთ წინაწარ ამ ს შესახებ შრომის სამინისტროს წ ნაშე შესაფერ უმდგომლობის აღძრის საშუალებით, და ამასთან ერთად ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა წარმოდგენილ იქნას დაწვრილებითი განმარტება ამ გამონაკლისის დასაშვებად კასის ფინანსიური შესაძლებლობის შესახებ.

მუშების ბიუჯეტის გამოკვლევა.

ხელფასის შესახებ ყოველ გვარ საკითხების ყურო სისწორით გადაწყვეტის მიზნით შრომის სამინისტრო ეპირებს შეუდგეს მუშების ბიუჯეტის და ეკონომიურ მდგომარეობის გამორკვევას. სამინისტრომ წინადადებით მიმართა პროფესიონალურ კავშირებს მუშების ბიუჯეტის გამოსარკვევად ყველა საჭირო ცნობები მიანდოს შრომის სამინისტროს სტატისტიკურ განყოფილების გამგეს მ. ნ. მანდელ შტამს.

ახალი მომატების საკითხი სოხუმში.

სოხუმის ღლია შრომის კომისარის კორო-ლოვისგან შრომის სამინ სტრის შემდეგ დეპეშა მოუვიდა: „ახლი ხომატების საკითხი შწვავეთ სდგას. თათბირს ნუშაობის გაგრძელება ალარ შეუძლია. საჭიროა სჩქაროთ ჩამოვდეს სატარიფო პალატის სესია.“

არასაპატიო მიზეზებით სამუშაოდან წასვლის შესახებ.

საარტილერიო საწყობის უფროსს შრომის სამინისტრომ განუმარტა, რომ იმ თვიურათ დაქირავებულ მუშებს, რომელნიც არა საპატიო მიზეზით გამოაკლდებიან სამუშაოს უნდა გამოექვითოთ შესაფერი ხაწილი ჯამაგირისა, თუ კი მას წინ არ ელობება მუშებთან დადებული კოლექტიური ხელშეკრულება.

ცენტრალურ მომარაგებელ კომერის მოქმედების ანგარიში.

ცენტრალურ მომარ გებელ კომერას, დაჩქაროს წაოსული წლის დეკემბერში თვისი მოქმედების ანგარიში.

ტფილისის კოოპერატივთა შუამდგომლობა.

ქ. ტფილისის ქოოპერატივთა კავშირმა შრომის სამინისტროს მიმართა განცხადებით, სადაც ამბობს, რომ ახალმა მომატებამ დიდ გაჭირვებაში ჩააგდო ტფილისის კოოპერატივები, რადგან კოოპერატივები უმეტეს შემთხვევაში თვიდან იცილებენ მომატების გაღებას და ამას გარდა დღეში 12—16 საათს ვაჭრობენ, რითაც დიდ მეტოქეობას უწევენ კოოპერატივებს. კავშირი სთხოვს სამინისტროს ზომები მიიღოს ვაჭრობის და სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეთა სამუშაო საათების ნორმაში მოსაყვანათ.

ფინანსთა სამინისტროში.

ფინანსთა დეპარტამენტმა წინადადება მისცა სახაზინოებს, ერობებს მისცენ ერთდროულ ბიწაზე გადასახადის მათი ხვედრი ნაწილი 40% იმ პირობით, რომ დაუბრუნონ ერობების მიერ ამ ფულის ანგარიშში ესახათ აღებული ნაწილი.

განათლების სამინისტროში.

საბავშვო ჟურნალები.

საქართველოს ქალაქ ა და ერობათა თვითმმართველობებს განათლების სამინისტრომ შემდეგი მიმართვა დ უგზავნა.

ქალ. ტფილისში კარგა ხანია რაც არსებობს ორი საუკეთესო საბავშვო ჟურნალი: „ჯეჯილი“ 1890 წლიდან და „ნაკადული“ 1904 წლიდან.

ამ ხნის განმავლობაში ერთიცა და მეორეც გადაგვარების გზაზე დ ყენებულს და ანტიპედაგოგიურ პირობე ში მოხვარდს ქართველს თაობას ყოველთვის მაღალს აზრებ უნერგავდა, სათნო გრძნობებს უღვიძებდა, ნორჩს ნებისყოფას ქვეყნის სასარგებლოდ უკეთვდა და ზრდიდა. ერთის სიტყვით, ხთელს ჩვენს თაობას შეძლებისა დ გვარ დ აძლევდა სწორს, სალა და სანუკვარს მიმართულებას.

ამ ორი ჟურნალის გარეშემო თავიდანვე შემოკრებილი იყვნენ ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წევრნი და საუკეთესო მწერლები, რომელთა ცდა და სურვილი ერთის მხრივ ბავშვების მიზნისკენ იყო მიმართული-გაენელებინათ ის დეზაცირონალიზაცია, რომელიც ჩვენში შეუნჩნეველად, მაგრამ სიტემატიურად იზრდებოდა, და ხელი შეეშალათ ჭართველ ბავშვების ფსიქიურ დამახინჯებისა და გადაგვარებისათვის.

ასეთ მაღალ მიზნისა და დანიშნულებისათვის არც ერთს ამ რედაქც ას დღემდე არ ეღალატნია: ორივე კვლ ვდებურად განაგრძობენ კეთილსინდისიერსა და უანგარო მოღვაწეობას ჩვენი მ ზარდთაობის სულიერ აღზრდაგ ნათარებისათვის.

მაგრამ დღევანდელ ცხოვრების აუტ ნელმა პირობებმა თვალსაჩინოდ შებორკეს მათი თავისუფლება, და თუმცა განათლებს სამინისტრომ რამდენჯერმე ხელი გაუმართა, თვით ჟურნალების არსებობას შემდგომაც სერიოზული საფრთხე შეუქმნეს.

განათლებ ს სამინ სტრის აზრით, ნივთიერად გაჭირვებულ რედაქციათა წელში გამართვა, მათ ხელ მძღვანელ თანამშრომელთა შეტის ენერგიით ამოძრავება და ზეობრივი გამხნევება ყველაზე უწინარეს ძალუძს ჩვენი ნორჩი თაობის პირველს აღმზრდელს—ერობასა და ქალაქის თვითმართველობებს, უკეთუ ეს უკანასკნელი თავის ხელქვეით სკოლებში საგანგებოდ გახდის ამ ჟურნალების გამოწერას.

ითვალისწინებს რა ზემოთ აღნიშნულს, განათლების სამინისტრო უმორჩილესად გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა თქვენდამორჩილებულ თვითმართველობის საზღვრებში არსებულმა ყველა სკოლამ სავალდებულოდ გაიხადოს ხანგრძლივ სააუწვლო ჟურნალების: „ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ გამოწერა.

დამფუძნებელი კრება

4 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლიმთათიძე.**

ვ თევზაია (მომხსენებელი) აღნიშნავს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიაც დღეს იმყოფებიან მუშა მოსაზსახურენი და ამბობს, რომ ცხოვრების გაძვირება იწვევს ხელფასის მომატებას. სისტემა ხომატების არ არის კარგი საშუალება ამ შეჭნ ლი მდგომარეობიდან გამოსავლელად, მაგრამ დღევანდელ პირობებში ძნელი იქნება სხვა რესი საშუალება არის ცხოვრების გაიაფება და ფინანსიური ეკონომიური მდგომარეობის რაციონალურ კალაპოტში ჩაყენება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ამ მიმართულებით გადადგამს შესაფერ ნაბიჯებს. საფინანსო კომისია გამოდიოდა იმ დებულებიდან, რომ ჯამაგირით გათანასწორება მოხელეების არ არის სასურველი, ეს წარსული ბურჟუაზიული პრინციპია, უმთავრესად უნდა მოემატოს მათ, ვინც ცოტას იღებენ, ამიტომ დეკრეტით 60% მომატებას მიიღებენ ისინი, ვინც 1500 მანეთამდე ღებულობენ, ანუ ეს უმთავრესად დაბალი ხელფასი მოსამსახურენი. დანარჩენებს მოემატებათ 55, 50 და სხ. პროცენტი. ჩვენ ვიცით რომ ეს მომატება არ დაფარავს ყველა მათ ხარჯებს, მაგრამ შეგნებულმა დემოკრატიამ უნდა გადიტანოს ეს მძიმე მდგომარეობა. დღეს არავის არ შეუძლია დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნილებები. ასეთი მდგომარეობა არ არის მარტო ჩვენი ხვედრი. ასეთი მდგომარეობაა იმ ქვეყნებშიც, რომელნიც უფრო დაწინაურებულნი არიან კულტურულათ, ეკონომიურათ და ყოველმხრივ. ყველამ უნდა იქონიოს ხელგაჭირობაში, რომ ეს არის გარდამავალი ხანა და გადიტანოს ეს მძიმე მდგომარეობა.

მუხლობრივ განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა დეკრეტი, რომლითაც ემატებათ ჯამაგირი ყველა სამოქალაქო დაწესებულებებში მოსამსახურეთ, მთავრობის და დამფუძ ებელი კრების წევრთ შემდეგის წესით: ვინც იღებდა 1500 მან. ემატება 60 პროცენტი, 1501 დან —1800 მან.—55% 1801 მან.—2000 მდე—50%, 2001 მ.—2400 მდე—40%, 2400 მ.—3 00 მ დე—35%. 3001 მან თის ზევით ვინც იღებდა, ბათ მიეძატებათ 30%. იმ მუშა მოსამსახურეებზე კი, რომელთაც აქვთ კოლექტიური ხელშეკრულება, გავრცელდეს 60% ემატება.

ვ. თევზაიასვე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ. ჯამაგირი ემატებ თ შემდეგი წე ით: რკინის გზის მუშა მოსამსახურებს, რომელიც 14 კატეგორიაში არიან ემატებათ 60%, დანარჩენებს კი ვინც ღებულობდა 2400 მ. ემატება 40%. 2401 მ.—3000 მან.—35% და ვინც 3000 მანეთზე მეტს იღებდა—30%.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ეს დეკრეტები არ ეხება ერობებს და ქალაქთა მოსამსახურეებს, ვინაიდან მათ ავტონომიური საბუჯეტო უფლება აქვთ, მხოლოდ მათ ურჩევთ იხელმძღვანელონ ჩვენ მიერ მიღებული წესით და არ შეუშალონ ისეთი განხვავება რომელიც უკანასკნელებს გამოიწვევს სხვა დარგის მოსამსახურეთა შორის.

შემდეგ **გრ. უვატაძის** მოხსენებით მიღებული იქნა დეკრეტი ბათუმ ატენების რკინის გზის ნაწილის 1919—1920 წ.წ. საექსპლოატაციო ხარჯების დასაფარავად 7,167,350 მან. დასახახინ ირკინის გზის საერთო-ხარჯი ღირიცხვის დამატებათ 963,193 მან. გადადების შესახებ.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში საპროპაგანდო კომისიის საჭიროებისათვის 2 მილიონი მანეთის გადადების შესახებ. ამ საკითხის შესახებ კომისიაში მონაწილეობა მიიღეს ლ. შენგელაიამ, თ. დლონტმა, თ. კიკვაძემ, გრ. გოორგაძემ.

ფავი-ზღვის შეიარაღებულ ძალთა გლეხია გამარჯვება.

ფავი ზღვის შეიარაღებულ გლეხთა მთავარი შტაბის ოფიციალური ცნობა. 28 იანვარს გათენებისას, ფავი-ზღვის ლაშქრის სამი რაზმი და მონადირეთა კომანდა მთიდან ჩამოვიდა და მდ. პსღუზე, ადლერის და გაგრის შუა, მოხალ ეთა არმიის პოზიციებს შეუტია. ორი დღის ბრძოლის შემდეგ დენიკინელები დამარცხდნ და სოჭის გზისკენ დაიხიეს. შავი ზღვის ლაშქარი უკან დაჰეულებს დევნა და 3 თებერვალს დილით, სოჭა აიღო. შავი ზღვის გლეხების დევნა იმდენად დიდია, რომ მისი რაოდენობა ნამდვილად ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. ჯერ ჯეროვნობით კი გამოანგარიშებულია: 4 ზარბაზანი, 16 ტყვიის-მფრქვეველი, 700 თოფი და 500 ათასამდე ტყვია, წამოვუყვანეთ 800 ტყვე, რომელთა უმეტეს მა ნაწილმა ლაშქრში ჩაწერის სურვილი გამოსთქვა და ფრონტზე გაიგზავნა. ადლერში, ხოსტაში და სოჭაში ხელში ჩაგდებულ ტანსაცმელის და სურსათის საწყობები, და აგრეთვე რამდენიმე მჭატე და საბარგო ვტომობილი. ფრონტზე ეერიშების მიტანის დროს, გლეხთა პარტიზანული რაზმები ადლერის, ხოსტის და დაგომისის რაიონში თავს [illegible] ფრონტიდან შემომტევ რაზმთა დიდი დახმარება გაუწიეს. შავი ზღვის ლაშქრის ძალით მოკვდა 6 კაცი, დაიჭრა 20.

უცხოეთი

რუსეთი.

„Matin“-ის გადმოცემით რევოლში გავრცელებულია ხმები, რომ ახანუებულ ჯარისკაცებს მოუკლავთ ტროცკი. მკვლელობა მოხდარა ნარვის ფრონტზე, სადგ. ვოლოსოვოში. თუმცა ამ ხმების ნამდვილი დადასტურება არ მოსულა, მაგრამ ზობის შემდეგ ნარვის ფრონტზე წყვანილი ყველა ტყვიები ერთხმათ ირწმუნებიან, რომ ტროცკი მოკლულია ახანუებ ს დროს.

შეერთებული შტატები.

ფრანგულ გაზეთებს ატყობინებენ ნიუიორკიდან, რომ ამერიკის წარმომადგენელს დანაში ნორვან გებუდის, რომელსაც ბრალი ედებოდა თავის დიპლომატიურ წოდების საბჭოთა მთავრობასთან გამოყენებაში, ჰქონდა ამ საქმის შესახებ ლაპარაკი გარეშე საქმეთა მინისტრთან, რის შემდეგ სამინისტრომ გამოაცხადა, რომ გებუდი აღარ არის შეერთ. შტატების დიპლომატიური წარმომადგენელი.

ოხმალეთი.

ქურთისტანში ერთვნული მოძრაობა ნელნელა ღვივდება. ქურთების ნაციონალური გამოფხიზლება მარტო ამ უკანასკნელ მსოფლიო მოვლენებთან როდია დაკავშირებული. იგი დაიწყო ბევრად უფრო ადრე ანუ მაგალითად, 1902—1903 წელში ოსმალეთის ქურთისტანში იფეთქა მოძრაობამ, რომელსაც კავშირი ჰქონდა სპარსეთის დასავლეთ მხარის ქურთთა აჯანყებასთან. ქურთები მაშინ ავტონომიას მოითხოვდენ—აბდულ-ჰამიდმა ჩაქრო მოძრაობა. 1913 წელს აჯანყება ხოზდა ბითლისის ვილაეტში. აჯანყებას მეთაურობდნენ მოლლა სელიმ, საბაჰედინი და მოლლა ალი. აჯანყებამ დიდი მ თქმა-მოთქმა გამოიწვია. „პროგრესის და ერთობის“ კომიტეტს დასჭირდა ადგილობრივ დიდი ძალების გაგზავნა ამ მოძრაობის ჩასაქრობად. მოლა სელიმი დაიჭირეს და ჩამოახჩვეს.

ავსტრია.

ომის ერთ-ერთ შედეგთ დანაშაულობის ზრდა უნდა ჩაითვალოს. გაზ. „მატენ“ს ციურიხ დან ატყობინებენ, რომ ვენაში ხალხის სხვა ათასგვარ უბედურებას თან დაერთო დანაშაულობათა ზრდა; ერთი დამეც არ გაივლის, რომ ვინმე არ გაძარცონ, ვინმე არ მოჰკლან, მთავრობა უძლურია ებრძოლოს დანაშაულობათა ზრდას. ბოროტ მოქმედნი ხშირათ იცვამენ მილიციელებისა და რკინის გზლების ფორმას, რაც ძარს სცემს ამ პროფესიების პრესტიჟს.

ადერბეიჯანში.

სახ. გენერ. გუბერნატორის გარკვეულებით, დახურულია სტამბები „ნოვრუზი“ და „ტურანი“, რომლებიც ბჭ ვდავდნ სახელმწიფოს საწინააღმდეგო პროკლამაციებს.

ყაზახის გენ. გუბერნატორი ხანძ-ხოელი დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ყველა ადმინისტრატიული ტყვეები, რომლებიც ციხეში იყვნენ ადერბეიჯ ნის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, ამ დღის აღსანიშნავათ განთავისუფლებულ არიან.

ტაგიევის ფაბრიკის კანტროლიორმა აცნობა ვ ჰრობა მრეწველობის სამინისტროს, რომ მან გამოარკვია დარჩენილი მანუფაქტურის რაოდენობა ფაბრიკაში და ქალაქში. 1 თებერვლამდე ნარმა 481 000 არშ., მიტკალი 10 261 არშ., თხელი ქსოვილი 10,485 არშ., ქალაქს საწყობში: ნარმა 12,265 არშ., მიტკალი 6 842 არშ., მარლა 3,620 არშ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო პირობით შეეკრა საზოგად. „კოოპერაციას“, რათა ერთი კვირის განმავლობაში გამრავლდეს 62 მცხოვრებთა შორის პურის განსანაწილებელი პუნქტები. მცხოვრებთ მიეცემათ დღეში 3,600 ფუთი პური. ჯერ არსებობს მხოლოდ 39 დუქანი. მოკლე ხანში მცხოვრებთ დაურიგდებათ ხორცი და თევზი.

ერთობა

ახალციხის ერობაში.

ახალციხის ერობის მუშაობა განსაკუთრებულ პირობებში სწარმოებს. ეს მხარე მეტად ჩამორჩენილია საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით. აქაურ ხალხს ჯერ წარმოდგენა არა აქვთ თვითმართველობაზე, ამის გამო სამართლიანია, რომ ახალციხის ერობას მეტი დახმარება უნდა მეზობელ ხარეებიდან და მთავრობისაგან. აგრეთვე აქ ურ ერობას არავითარი ქონება არ მიუღია არსებულ სხვა ორგანიზაციებიდან, როგორც სხვა ერობებს, რადგან ეს მხარე მრავალ ომების გამო განადგურებულია. მთავრობისაგან გადადებულ თანხის რაოდენობა, რომელიც ერობამ მიიღო გამოიხატება მხოლოდ 120 ათას მანეთში. ერობის მუშაობა ამ ჟამათ მიმართულია ორგანიზაციულ მოწყობისაკენ, დაქირავება საიმედო და გამოცდილ მოსამსახურე თანამშრომლებისა—ეს მეტად ხელს შეუწყობს ერობის ნაყოფიერ მუშაობას.

ზიმზილობა უკვე დაიწყო მაზრაში, სათესლეც არ ეშოვება. ამის გამო ერობის გამგეობამ უკვე აღძრა მთავრობაში შუამდგომლობა ორი ვაგონი სიმინდის დათმობის შესახებ.

ერობამ დაიწყო მაზრის სკოლების ჩამორება; სკოლების მდგომარეობა სატირალია,—შენობები სრულიად დანგრეულია, უკანასკნელ ხანებში მთავრობამ შეუდგა მათ განახლებას, ეხლა კი ერობას აზრათ აქვს უკანასკნელად აღადგინოს სკოლები. ერობამ მიიღო ზომები ახალციხის ფოსტის მოსვლის საქმე თავზე იღოს, რადგან უკანასკნელი დღეს კერძო პირს აქვს და მეტად ფერხდება სწრაფად ფოსტის მოძრაობა.

გზების საქმეც უნუკეშოთაა მაზრაში. ერობამ უკვე მიიღო ეს გარემოება მხედველობაში და დაიწყებს გზების შეკეთებას, ხიდების აგებას და სხვ. ტეხნიკოსი უკვე მოწვეულია, მოწვეულ იქნება აგრეთვე ინჟენერი.

მაზრაში არსებობს რამდენიმე საავათმყოფო, მაგრამ ყველა მათგანი, აწყურის გარდა ომის გამო განადგურებულია. ერობა შეუდგა დატაცებულ სამკურნალოს ნივთების სოფლებში შეგროვებას. საავათმყოფოების უფროსი ექიმი უკვე მოწვეულია და გამოუშავებული იქნება სამოქმედო გეგმა.

ადმინისტრაცია ჯერ დამოუკიდებლად მოქმედობს მაზრაში, ერობის ხელში არ გადმოსულა.

ერობამ მიიღო სამიწად-მოქმედო სამინისტროსაგან 200 ათასი მანეთი სათესლე ხორბლის შესაძენათ.

მაზრაში არსებობდა ყველის ქარხანა, რომელიც დღეს გაუქმებულია, ერობამ მოიწვია

სპეციალისტი ჭარხლის გასაბლებლად, განზრახულია მისი გახნა. აგრეთვე ერობას განზრახული აქვს გახნას კარტოფილის ფქვილის ქარხანა.

ტყას გამგეთა ყრილობამ დაავალა ერობის ბელადვნელობა გაეწია საქ. სკოლო ადმინისტრაციისათვის, მაგრამ ეს ერობამ ვერ იკისრა, რადგან საამისო შესაძლებლობა ჯერ არა აქვ, აღუთქვა მხოლოდ დახმარება. ერობას ჯერ აზრათ აქვს ისეთი სასწრაფო საკითხების მოგვარებაზე იმუშაოს, როგორც არის სასურსათო, სათესლე მასალის შეძენა და სხ.

ერობათა კავშირის კომიტეტმა შეძნა შაბიამანი, რომლის განაწილება დაევალა გამგეობის წევრ სოლორაშვილს, შაბიამანი მიეცა სამაზრო ერობებს.

— ერობათა კავშირის კომიტეტმა დაადგინა დათვალიეროს ყოფილ სასურსათო კომიტეტის საწყობები, რომელიც მის განკარგულებაში გადმოვიდა რის შემდეგაც ასწერილ და ჩაიბარებს ინვენტარი.

ისტორიული წერილები.

რუსეთის მონარქია როგორ ანადგურებდა იმერეთს.

II

(გაგრძელება)

1811 წ. რუსეთმა დაარღვია ქართველთა და რუსთა 1783 წ. დადებული ტრაქტატის პირობა და გააუქმეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ანტონ კათალიკოსი რუსეთში გაძევეს და მის მაგიერ დანიშნეს საქართველოს ეპარხიათ ვარლამ ერისთავი. გარუსებული ეპისკოპოსი, ვარლამ ერისთავი თუმცა რუსოფილი იყო, მაგრამ მაინც რუსეთის სინოდმა იგი გამოსცვალა და 1817 წ. მის მაგიერ საქართველოს ეპარხოსად დანიშნეს რუსი თეოფილაქტე, გვარად რუსანოვი.

ამ დროს, იმერეთი თუმცა რუსეთის მფარველობის ქვეშ იყო შესული, მაინც იმერეთის სამღვდელოება არ ემორჩილებოდა საქართველოს ეპარხოსს და რუსეთის სინოდს. ამ დროს, იმერეთში ორი მიტროპოლიტი იჯდა, სახელდობრ: ქუთათელი და გენათელი. ესენი განაგებდენ იმერეთის საეკლესიო საქმეებს.

საქართველოს ეპარხოსმა თეოფილაქტემ დასურვა იმერეთის ეკლესიის დაპყრობაც, შეძლო კიდეც და მით უფრო, რადგანაც რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გენათელსა და ქუთათელს საც ასახელებდენ, ამიტომ რუსის მთავრობამ საქართველოს რუს-ეპარხოსს დახმარება მისცა. თეოფილაქტე იმერეთში წავიდა და იმერეთის გენათელის და ქუთათელის დაყვავებით დაპყრობა, დაპკრა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა.

მიტროპოლიტები ძლიერ წინააღმდეგნი გახდენ ეპარხოსს და არ დაუმორჩილდენ, ამიტომ მოხდა იქ დიდი ძალმომრეობა, მიტროპოლიტები რუსის სალდათებმა დაიჭირეს და ციხეში შეაჭრეს იგინი, ერთი დაიჭირეს კიდეც და ასე წვალებით შესვეს ციხეებზე და რუსეთის გზას გაუყენეს, ამ ამბავმა მთელ იმერეთის ერს აჯანყების ზარი დაურეკა. იმერნი ამბობდენ:

— მიტროპოლიტებს რომ ასე უყვეს, აბა ხალხს რაღას უზამენო.

ამიტომ მომზადებულმა იმერთ მთავრობის დასამხობათ 1820 წ. ამბოხებაც დაიწყეს. ეს აჯანყება ისეთი ძლიერი იყო და მძლავრი, რომ მათ რუსეთის მთავრობა ძლიერ შეაშინეს, რუსებმა იხმარეს დიდი ბოროტება, ბრძოლა მძლავრათ დაიწყეს და ამას გარდა იმერლებს იგინი ქართველების დ ხმარებით წულითაც ყიდულობდენ, ზოგს მოტყუებით, ზოგს შიშით და ზოგსაც სხვა და სხვა ასეთ ხერხებით ეშმაკობით.

როგორც იქნა, რუსებს ელირსათ და დიდი სისხლის ღვრის და იმერთა ხოცვის და დარბევის შემდეგ, თოფ-ზარბაზნების გრიალით და შესყიდულ ქართველების წყალობით იმერეთის ერი დაიმორჩილეს, დამორჩილება იმერეთი არ აკმარეს და რუსის ყაზაკ სალდათების, სადაც შევიდოდენ, იქ ყველგან იმერთა სოფლებს სწვავდენ, სდაგავდენ, იკლებდენ ყველაფერს, სტაცებდენ ოჯახიდან ყველაფერს ისე, რომ ხალხი სულ ცალიერი რჩებოდა.

ეს ამ დროს, რუსებმა იხმარეს ისეთი ბოროტება, რაც იმერეთს თავის დაარსების დღიდან აქეთი შეწუხება არასდროს არ ენახა. იმერნი ამ დროს ცხარეთ დასტიროდენ თავიანთ დაქცეულ სახლ კარს, დამწვარ-დაგულს ქონებას და რუთაგან დახოცილს ზოგნი შვილებს დასტიროდენ, ზოგ ძმაგს ცოლი ქმარს სტიროდა, ქმარი ცოლს, და ძმას, ნათესავი ნათესავს და ამრიგად მთელი იმერეთი ერთმანეთს. ამ განწირულების დროსაც კი აჯანყება მაინც სწარმოებდა და იმერნი არა სტოვებდენ ბრძოლას, აჯანყება მოდებული იყო ზემო და ქვემო იმერეთში, სამეგრელოს, გურიას, სვანეთს, რაჭას და სხვაგანაც.

როგორც იქნა რუსეთმა იმერეთის აჯანყება ჩაახშო, ამ ჩახშობის უმაღვე რუსეთის მთავრობამ დაქონილ და დარბეულ იმერეთის სოფლებს თავის ჯარი შეუსია. ჯარს ნება მისცა, რომ სოფლის ხალხს, რაც ჯნებოთ ის ყვით თქვნაო. ამიტომაც ბოროტმა ყაზახ სალდათებმა იგდეს ხელთ დრო, რუსის მთავრობის ნებართვით შეე ივენ იმერეთის სოფლებს და იქ დაწვეკებულ და ახრებელ ხეებს დაუწყეს აწიოკება, დაწვა, ძარცვა-გლეჯა.

ამის შესახებ რუსის ოფიციერი დუბიცკი ჰკვავს. „ქეები" შეიარსა სწერს: „ბრძანება მოვიდა, რომ მე გამგზავრებულიყავი იმერთში და აჯანყებულების ერთი სოფელი, 20 ვერსის მანძილზე, თავად წულუკიძის სახლიდან, გადამეწვა სულ. ამ დროს, როცა ჩვენ მივედით, მეამბოხეთა სოფლები უკვე იწოდა და მათს ქონებასაც იტაცებდენ ჩვენი სალდათები.

ეი ასე მოქმედებდენ რუსის სალდათები და ასე ანიავებდენ და ღუპავდენ. სალდათებმა ისეთი მწარე და შავი დღეები დააყენეს, რის მსგავსიც იმერეთს თავის დაარსების დღიდან ასეთი ვაება და ხწუხარება არას დროს არ ენახა. იმერეთმა რუსის სალდათებისა და მთავრობის დეპოტებისაგან ნახა ის, რაც მათ არც ოსმალთაგან ენახათ, არც სპარსთაგან და არც სხვა ასეთებისაგან. ეს იყო პირველი სამაგალითო ბოროტება და სწორეთ ამიტომაც ქსწერენ დავით დ ბაგრატ ბატონიშვილები შემოთ მოყვანილ სიტყვებს ასე:—„ჰო უკვდავო ღმერთო, რომელმაც ენამან გამოითქვას ანუ რომელმან ხელმან ასწეროს მაშინდელი ჭირი და ვაება იმერთა, რომელიც მოხვეულ იქმნა რუთაგან ვითარცა თავდაპირველ და ახნავრთა ზედა, ჭრეთვე სამღვდელოთა და გლეხთა". ეს ამბები დიდის ვნებით დ მწუხარე ცრემლით არის მოთხრობილი, ჩვენ ასე მოკლეთ, ვსწერთ და მარტივათ.

ზ. ჭ.

მ'ახიოგ გ. იოსელიანის ხსოვნას

გიორგი იოსელიანის სახით ქართულმა სცენამ დაჰკარგა ერთგული და ხელოვანი მუშაკი. იოსელიანთან პიროვნებები კი არ იქმნებიან, არამედ იბადებიან. და დღეს, როდესაც განახლებულ საქართველოს დედა ქალაქში, განახლებულ თეატრში, გიორგი მანათობელ ვარსკვლავად უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვაი რომ ეს ვარსკვლავი უდროოდ და მოულოდნელად ჩაქრა. ჩვენ, ახალგაზდებს მიტომ ვიხარდა სათეატრო საქმეებში ჩაბმა, რომ ხედვით გიორგისთანა უდრეკსა და ნიჭიერ ხელოვან-პატრონს, მაგრამ ბედმა გვიღალატა—ხელიდან გამოგვაცალა ჩვენი გიორგი.

ვის შეუძლია დავიწყოს კეთილშობილი ანანიას განსახიერება, გიორგის მიერ, ონუფრისა და სხვ. მოვიგონებთ შალიკაშვილის „გადჰარლ მუხაში" გიორგი მოურავის როლში: იგი ეხვეწება თავის ბატონს სახლში დაბრუნებას, სოფლის მიხედვას, და ეი ეს ვედწნა იმდენად ძლიერად იყო ხოლმე გამოცემული, რომ მაყურებელიც მზად იყო გიორგისთან ერთად შეხვეწოდა სოფელში დაბრუნებას. მე არ ძალმიძს მოვიგონო ყოველივე მოსხიბვლელი სცენები განსახიერებული გიორგის მიერ და არც სჭიროება მოითხოვს, რადგანაც თეატრთან ახლო მდგომმა პირმა ძალიან კარგად იცის თუ რა ბუმბერაზი პიროვნება გამოაკლდა ქართულ სცენას. ჯერ კიდევ, როდესაც ჩვენი ნაჭერი გიორგი რუსეთში სწავლობდა, მისულყო მასთან ერთი თვალსაჩინო რუსული თეატრის რეჟისორი და მიემართნა შემდეგის სიტყვებით: „გიორგი ნიკოლოზის ძევ გეხვეწებით, გეძუძარები, ნუ შეხვალთ ქართულ სცენაზე, რადგანაც თქვენ იქ დაღუპვებით და რუსულ სცენაზე კი სახელს მოიხვეჭთ".

მაგრამ გიორგი იმდენათ დიდი პიროვნება იყო, რომ მან არ დაიჯერა ეს სიტყვები და არ უღალატა მშობლიურ სცენას. გავლის რამოდენიმე ოცი წლები და გიორგის ადგილი კიდევ თავისუფალი იქნება ქართულ სცენაზე. დიახ, დიდი, აუნაზღაურებელი დანაკლისია გიორგის დაკარგვა ქართველი ერისათვის.

შ. ღ.ბაშიძე.

წ.-კ. საზოგადოებაში.

წერა-კითხვის საზ. გამგეობამ მთავრობის თავმჯდომარეს მოხსენება წარუდგინა: მოხსენებიდან ნათლად სჩანს, საზოგადოების მოღვაწეობა დღიდან მისი დაარსებისა; აშისათვის მას სავსებით ვბეჭდავთ.

ჭ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ორმოცი წლის განმავლობაში დარაჯათ ედგა ქართულ ენას, რომელსაც მეფის რეჟიმი გადაგვარებას და სრულიად მოსპობას უქადდა. ამ მთავარი მიზნის მისახწევათ ის ხსნიდა სკოლებს ჩვენი ქვეყნის განაპირა კუთხეებში, ბეჭდავდა სასკოლო სახელმძღვანელოებს და სახალხო წიგნაკებს, არსებდა სამკითხველო-ბიბლიოთეკებს, იცავდა და აგროვებდა ჩვენი ძველი კულტურის ნაშთებს.

როცა დიდმა რევოლიუციამ ჩვენს სამშობლო ცას აღუდგინა მისი ბუნებრივი უფლებანი და დამოუკიდებელ საქართველოს გაუჩნდა ძლიერი პატრონი დამფუძნებელი კრების და მთავრობის სახით,—ჩვენმა საზოგადოებამ ის თავისი სკოლები, რომლებიც მოსპეული იყო რესპუბლიკის დღევანდელ საზღვრებში, რიცხვით 24, სახალხო განათლების სამინისტროს გადასცა ყოველივე მოწყობილობით და ზოგ ადგილს საკუთარი შენობებითაც; დაიტოვა თავის განკარგულებაში მხოლოდ ის სკოლები, რომელნიც ჩვენი საზღვრების გარეშე დარჩენ, მაგალითად: 1) კავკავში, 2) ნალჩიკში, 3) არმავირში, 4) ბაქოში, და 5) ბათომში. 150 სამკითხველო-ბიბლიოთეკიდან ნაწილი გადაეცა ქალაქებს და ერობათ, ხოლო დანარჩენი მოკლე დროში უნდა გადაეცეს.

ფასდაუდებელი მუზეუმი, რომელიც საზოგადოებამ შექმნა, გადაეცემა სახელწიფოს, როცა ამას მთავრობა მოითხოვს.

ამნაირათ წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეასრულა თავისი ისტორიული მისია.

დღეს განთავისუფლებული და დამოუკიდებელი სამშობლოს ინტერესი მოითხოვს ჩვენი საზოგადოებისაგან ახალი მიზნის დასახვას დროსა და გარემოების შესაფერი მისიის შესრულებას.

ჩვენს განახლებულს სკოლას ესაჭიროება შესაფერი სახელმძღვანელო წიგნები. და, რადგან ჩვენს საზოგადოებას ამ საქმეში აქვს გამოცდილება, აქვს მოწყობილი საჭირო აპარატი, შეუძლია თავის ირგვლივ შემოიკრიბოს საუკეთესო ძალები, ამიტომ მან ხელი მიჰკრა ამ ასპარეზზე სკოლის სამსახურს: ასწორებს არსებულ სახელმძღვანელოებს, უკვეთს სპეციალისტებს ახალი წიგნების შედგენას და ბეჭდავს მათ.

ახალი სახელმწიფოს სასურველათ განვითარება და აყვავება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა პოლიტიკურ მუშაობას ზურგს უმაგრებს კულტურული მუშაობაც, და ეი ამ ნიადაგზედაც ჩვენმა საზოგადოებამ გადადგა ნაბიჯი: შეიძინა საკუთრებათ თუ გამოსაცემათ თითქმის მთელი მშობლიური ბელეტრისტიკა და პოეზია, რომელთა შორის რამდენიმე ახალი ნაწარმოებია, შეუდგა ჩვენი კლასიკების ბეჭდვას და სხვა და სხვა.

გამგეობის შეკვეთით მუშაობს ათამდის მთარგმნელი, რომლებიც უცხო კლასიკებს სთარგმნიან: ინგლისურით, გერმანულით, ფრანგულით და რუსულით.

ასეთი დიდი მიზნის განსახორციელებლათ, რაც მოითხოვს მილიონობით ხარჯს, საზოგადოებას არ ჰქონდა სახსარი, ამიტომ ის იძულებული შეიქნა მთავრობისათვის მიემართა და ეთხოვა ნახევარი მილიონი უპროცენტო ვექსი, რაც კიდეც მიიღო გასული 1919 წლის სექტემბერში. ამ ფულს საზოგადოებამ დაუმატა კიდევ თავისი ნახევარი მილიონი და ერთი მილიონი მანეთის ქალალდი შეიძინა მთავრობის საწყობში და კერძო პირთაგან.

ამ საშუალებით საზოგადოებამ 4 თვის განმავლობაში შესძლო 25 წიგნის დაბეჭდვა, დაბეჭდავდა ორჯერ მეტსაც, სტამბა რომ ჰქონებოდა თავის განკარგულებაში.

მდგომარე 1920 წლის სამოქმედო გეგმა საზოგადოების მთავარ გამგეობას განხილული და დადასტურებული აქვს. დაბეჭდებულია დასაბეჭდათ ასზე მეტი ძველი, ხოლო 10—15 ახალი, ჯერ დაუბეჭდავი წიგნი.

ასეთი დიდი გეგმის განსახორციელებლათ საზოგადოებას სჭირდება ამ წლის განმავლობაში 15 ათასი ფუთი ქალალდი, რაც მომარაგების სამინისტროს საწყობში ღირს ფუთი 600 მანეთად, ხოლო კერძო პირებთან ორასი თუმანი.

მთავარმა გამგეობამ თავისი გეგმა გააცნო და გაუთვალისწინა სახალხო განათლების სამინისტროს და სთხოვა მას 8—10 ათასი ფუთი ქალალდის შეღავათიან პირობებში მიცემა. სამინისტრომ მოიწონა წარდგენილი გეგმა, თანაგრძნობით შეხვდა ჩვენს შემდგომლობას და თავის მხრით მომარაგების მინისტრს სთხოვა ჩვენი შემდგომლობის დაკმაყოფილება.

შომარაგების სამინისტრომ, როგორც დაინტერესებულმა ხალხისათვის ფიზიკური საზრდოს შეძენისათვის, ქალალდის მოცემაზე სამწუხაროთ სიტყვიერი უარი გვითხრა.

ეს გარემოება აიძულებს მთავარ გამგეობას მოგმართოს თქვენ, ბატონო ნოე ნაკოლოხის ძევ, როგორც მთავრობის თავმჯდომარეს, და დაბეჯითებით გთხოვოთ, თუ ჩვენი საზოგადოება ღირსი აღმოჩნდება, მიცეთ მას საშუალება, რომ მისი მოქმედება ნაყოფიერი და სახარგებლო იყოს.

მთავარი გამგეობა საჭიროთ სთვლის თქვენი ყურადღება მიაქციოს სხვათა შორის, შემდეგ გარემოებას: განსვენებული გრიგოლ ვეკუას „დედა ენა" და „ბუნების კარი" ოცამდე წლის წინათ სამინისტროს მიერ შეუსწორებლათაც მოწონებულია, მაგრამ გამგეობამ საჭიროთ დანახა ეს სახელმძღვანელო წიგნები შეესწოროს ისე, რომ თანამედროვე პედაგოგიკის მოთხოვნას სავსებით აკმაყოფილებდეს. ამ მიზნით აგერ ოთხი თვეა სპეციალისტ პედაგოგთა ორი კომისია მუშაობს.

გასწორებული „დედა ენის" ორივე ნაწილი უნდა დაიბეჭდოს ორასი ათასი ცალი, ხოლო „ბუნების კარი"კი—ასი ათასი. ეს რაოდენობა ის მინიმუმია, რომელიც ჩვენი აზრით, დააკმაყოფილებს ჩვენს სკოლებს.

დაწვრილებითი ანგარიშით, რომ თავი არ შეგწუნონთ დავასხელებთ მხოლოდ ზენებული წიგნებისათვის საჭირო ქალაღდის საერთო რაოდენობას, რაც უდრის 3750 ფუთს. სხვა სახელმძღვანელოებს, რიცხვით 15, და აგრეთვე საზოგადო ხასიათის წიგნებს სექტემბრამდის დასჭირდება ერთი ამდენი ქალალდი. გარდა ამისა, სასკოლო რვეულებისათვის საჭირო იქნება 1500 ფუთი. ანგარიშად სექტემბრამდის საჭირო არის 9000 ფუთი ქალალდი, რის ფასიც უდრის 5400000 მან.

სკოლებს, ერობებს და სხვა დაწესებულებათ ესაჭიროებათ საკანცელარიო ნივთებიც, რაც ჩვენში არ მოიპოება და საჭიროა საზღვარ-გარეთიდან მოვიტანოთ, თუ საამისო სახსარი გვექნება.

მთავარ გამგეობას არ აქვს საჭირო საბრუნავი თანხა, რადგან წიგნები იბეჭდება ერთბაშათ, რაც დიდ თანხას მოითხოვს, ხოლო დახარჯული ფული კი უნდა შემოვიდეს ნაწილ ნაწილათ და თანდათანობით.

ყოველივე მოხსენებული გარემოება აიძულებს მთავარ გამგეობას მოგმართოს თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ, და გთხოვოს მისცეთ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დასახული მიზნის განსახორციელებლათ ხუთი მილიონი (5000000) მანეთი სესხი სამი წლის ვადით.

თუმცა დასახელებული ჯამი საკმით არ დააკმაყოფილებს საზოგადოების ყველა მოთხოვნილებას, მაგრამ ამ ფულით უპირველეს ყოვლისა დაიბეჭდება „დედა ენა" და „ბუნების კარი", რომელთა დაუბეჭდაობა დაწყებითი სკოლებში შეუძლებელათ გახდის სწავლის წარმოებას, ვინაიდან ამ წიგნებს მეტოქე და ბადალი არ ჰყავთ.

ამ შუამდგომლობის განხილვის დროს შეიძლება მთავრობის წინაშე დადგეს საკითხები: 1) შეუძლია თუ არა საზოგადოებას ამოდენა ვალის გადახდა, 2) აქვს თუ არა მას ქონება, რომ მით პასუხი აგოს და 3) დგას თუ არა ის მოლიპულ გზაზე, რომელიც მას კრახს უმზადებს.

ამ კითხვების განსამარტებლად გამგეობა მოახსენებს მთავრობას შემდეგს: 1) საზოგადოებას აქვს ტფილისში საკუთარი მაშენებელი „ფიქრის გორა" ზომით 4800 ოთხ კუთხე სადენი, 2) ვაკეში, უნივერსიტეტის ახლოს 264 ოთხ. კუთხე სადენი მიწა, 3) ტფილისში, ანდრეევის ქუჩა № 22, იღია ორსართულიანი ერთ სართულიანი, ხუთ ოთახიანი და სარდაფიანი სახლი 350 საჟ. მიწით. 4) საგურამოში საზოგადოებას აქვს ილიასეული 53 დესეტინა მაშენებელი; ჩამორთმევის კანონი თუ საზოგადოებაზედაც გავრცელდა,—7 დესეტინა მაინც დარჩება, რომლიდანაც 3 დეს. ხეხილის ბაღია და 2 დესეტინა ვენახი. იქავე გვაქვს ილიასეული სამ სართულიანი ქვითკირის სახლი და 102 თავი სკა. 5) ჭ. სოხუმში საზოგადოებას ეკუთვნის სკოლის ორ სართულიანი ქვითკირის შენობა 900 ოთხ კუთხე საჟ ნით. 6) ბათომში ორი შენობა სკოლის და მასწავლებელთა ბინა 250 საჟ. მიწით. 7) ბაქოში სკოლის ორსართულიანი შენობა (14 ოთახ.). 8) კავკავში ორ სართულიანი შენობა, რომელშიაც მოთავსებულია: სკოლა, დიდი თეატრი, ბიბლიოთეკა, სასკოლო მუზეუმი, საკრედიტო დაწესებულება და ეკლესია. 9) საჩხერეში აკაკისეული ორსართულიანი ქვითკირის შენობა, ვენახი, ეზო, ზომით სულ 3 დესეტინა კარის ეკლესია. 10) ქუთაისში ჩვენი განყოფილების კარგათ მოწყობილი სტამბა. 11)

სოფ. ყვარელში ილიასეული 5½ დესიტ. მიწა და წისქვილი. 12) საზოგადოებას დღეს თავის საკუთრებაში აქვს სამი მილიონის წიგნები და ქალდ. 13) საზოგადოების მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ფასის დადება შეუძლებელია, რადგან ეს ეროვნული განძია. 14) საზოგადოების საკუთრებას შეადგენს შემდეგ წიწერალთა ყველა ნაწარმოებნი: 1) ალექსანდრე უსბეკის, 2) ილია ჭავჭავაძის, 3) იაკობ გოგებაშვილის, 4) ე. ხოშტარიასი, 5) გრიგოლ ორბელიანის, 6) ალექს. ხახანაშვილის, 7) არჩილ ჯორჯაძის და 8) ივანე (კიტა) აბაშიძის.

განგეობის გაწერების უფლება აქვს შეძენილი შემდეგ წიწერალთა ყველა ნაწერების: 1) გიორგი წერეთლის, 2) დავით კლდიაშვილის, 3) ვეფხვისტყაოსნის, 4) შ. არაგვისპირელის, 5) ვასილ ბარნოვის, 6) ანასტასია ერისთავ ხოშტარიასი, 7) დუტუ მეგრელის, 8) შელანიას, 9) ნიკო ლომაურის, 10) ბაჩანას, 11) ლალიონის, 12) მოსე ჯანაშვილის დიდი სამეცნიერო ლექსიკონი 13) დ. კარისჭვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი და მრავალი სხვა და სხვა სახელმძღვანელო და საზოგადო ხასიათის წიგნები.

ყოველივე ჩამოთვლილი ქონების ფასის დადება, ძნელი საქმეა და, ვფიქრობთ არც არის საჭირო, რადგან ესდაც ცხადია, რომ საზოგადოებას შეუძლია იკისროს 5 მილიონი მანეთის სესხის პასუხისმგებლობა.

დასასრულ მთავარი გამგეობა საჭიროთ სთვლის განცხადოს, რომ მთავრობისაგან სესხად აღებულ ნახევარ მილიონს ის თავის დროზე გადაიხდის.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების საკრებულოს სხდომაზე 1920 წლის 12 თებერვალს დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები.

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე.)

1) სჩივარი ქალაქ ტფილისის გამგეობის რწმუნებულის 3. კახიანისა ტფილ. ოლქის სასამართლოს საადმ. განყოფ. 1919 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ქალ. ტფილ. განგ. 1918 წლის 24 ოქტომბრის დადგენილება შესახებ რუსეთის წითელ ჯვრის სამმართველოს ბინის რეკვიზიციისა—ექიმი გამრეკელისათვის.

2) სჩივარი ქალ. ტფილ. გამგ. იურისკონსულტის ნაფიცის ანდრიას ტფილ. ოლქის სამმართველოს საადმინისტრ. განყოფ. 1919 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ქალ. ტფილ. განგ. 1919 წლის 5 მაისის განკარგულება—შესახებ არუთინ ბუნკიაზოვის ძის ტერ-არუთინიანის ბინაში—გრ. მაკარევიჩის დასახლებისა.

3) სჩივარი ელენე იზმირიოვის რწმუნებულების ნაფ. ვექილების ევგენი ანდრეევსკისა და ზ. ნ. ნარიმანოვისა ტფილ. ოლქის სასამ. საადმინისტრ. განყ. 1919 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დატოვებულია უყურადღებოდ მოჩივ. იზმიროვის რწმ. ნაფ. ვექ. ანდრეევსკის და ნარიმანოვის სჩივარი ქალ. ტფილ. ამ დადგენილებაზე შესახებ იზმიროვის ბინის რეკვიზიციისა საურთიერთო დამზღვ. საზოგადობ. საჭიროებისათვის.

4) სჩივარი ქალ. ტფილ. გამგ. რწმუნ. ნაფ. ვექ. კახიანისა და მიხეილ ნასიბოვის რწმუნებულის ნაფ. ვექ. ანდრეევსკისა ტფილ. ოლქ. სას. საადმ. განყოფ. 1919 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილ., რომლითაც გაუქმებულია ქ. ტფილ. გამგ. 1919 წლის 14 აპრილის დადგენილება—შესახებ ივანე ოგანოვის ბინის რეკვიზიციისა.

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების სხდომაში 1920 წლ. თებერვლის 9 ს საკასაციო წესით განსახილველად დანიშნულ საქმეთა წუსხა:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე.).

1) საქმე ილია მერაბის ძის გედევანოვის პაველ პეტრეს ძე პანკრატოვთან 108000 მანეთის თაობაზე.

2) საქმე ალექსანდრე ალექსანდრეს ძის ლვოვის ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოებასთან 15000 მან. თაობაზე.

3) საქმე სევასტიან მიხეილის ძის კორბანიდის ელიზე ნიკიტას ძე ისაკოვთან 534 მ. 95 კაპ. თაობაზე.

4) საქმე ალექსანდრე ელადიმერის ძე მაცნიევის ლიდია დიმიტრის ასული მ-ცნიევთან მოძრავი ქონების დაბრუნების თაობაზე.

სოფლის ამგეგი.

ხ. ხაგურამო. წარსული წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში დუშეთის სამაზრო ერობის თავმჯდომარის, ბ-ნ. ჭინიშვილის თაოსნობით მოწვეულ იქნა საგურამოს რაიონის თემის ხმოსანთა პირველი ყრილობა. ხმოსნებს გარდა ყრილობას დაესწრო გარეშე საზოგადოებაც. ბ-ნმა ჭინიშვილმა მიულოცა ხმოსნებს, ნათლათ დაასურათხატა თემის მნიშვნელობა მომენტის სირთულე და მოუწოდა ყველას შეთანხმებული მუშაობისაკენ. ილაპარაკეს სხვებმაც. აღსანიშნავია რომ დამსწრე საზოგადოება დიდის აღფრთოვანებითა და ყურადღებით უსმენდა ყველას და გამოსთქვამდა თავის სიხარულს თემის შემოღების გამო. ბოლოს მოხდა არჩევნები. ხმოსანთა საჭოს თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ლაგრენტი ძიძიგური, მის თანაშემწეთ ივანე ტატიშვილი. მდივნათ გიგლა სიხაძე, გამგეობის თავმჯდომარეთ ლევან მამულაშვილი; გამგეობის წევრებათ: ილია კობეკური და ფრიდონ გულბათოშვილი; სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: მჭედლიშვილი მიხეილ, ყველაშვილი ალექსანდრე, სეითიშვილი ხარიტონ. სასკოლო კომისიაში: შამხალაშვილი იაგორ, ჭინჭარაშვილი ვასილი, მახარაშვილი ილიკო. საგზაო კომისიაში: ჯვარიშვილი ვასო, გოგოლაძე ალექსი, რაზმაძე ივანე. ყრილობა ეხალისება დაფუძნებელ კრებასა და მთავრობის თავმჯდომარეს. ტექტიკის შედგენა და დეპეშების გაგზავნა დაევალა საბჭოს თავმჯდომარეს.

ხ. წინამძღვრიანთ კარი.

ოცდა ჩვიდმეტ წელზედ მეტია რაც აქ არსებობს წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა, მეტია იმაზე ლაპარაკი თუ რა გააკეთა ამ სასწავლებელმა ამ ხნის განმავლობაში. მრავალი გამოცდილი და შრომის მოყვარე მეურნე შემატა მან სამშობლოს. სკოლას სხვათა შორის აქვს კარგათ მოწყობილი სახელოსნო, სადაც შეიძირდები ხელოსნობას სწავლობენ. სკოლის წყალობით სოფლელებმა ევროპიული სამეურნეო იარაღები შეიძინეს, ისწავლეს მისი მოხმარება. მაღლობის ღირსია ამ მხრივ სკოლის ხელოსანი პეტრო შუდრა, რომელიც ჩვიდმეტ წელზე მეტია რაც ამ სკოლაში მსახურობს და რომელმაც სოფლელებს ხელი შეუწყო სამეურნეო იარაღების შეძენაში. იგი ყოველგვარ ახლა-გასწორებებს აძლევს სოფლებს და ყოველთვის მზათაა შეაკეთოს ამ ღილი თუ გაფუჭებული იარაღ-მანქანები. სწორეთ საჭირონი ადამიანი ასეთები, მით უმეტეს ჩვენში, სადაც სამეურნეო კულტურა ჯერ კიდევ პირველ საფეხურზე სდგას. თემის ყურადღება სწორეთ აქეთკენ უნდა იქნეს მიქცეული.

თეიმურაზი.

სხვა და სხვა

◆ საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ალმასრულებელმა საბჭომ დაადგინა გაგზავნოს დელეგატი რუსეთის პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელთა ყრილობაზე, რომელიც მოკლე ხანში უნდა გაიმართოს რუსეთში. საქ. პროფ. კავშირთა წარმომადგენელი ხსენებულ ყრილობაზე არ იქნება აღჭურვილი გადამწყვეტი ხმის უფლებით, არამედ იგი ინფორმაციას მიაწვდის ყრილობას.

ზუგდიდის სამაზრო ერობის წევრთა არჩევნების დროს სოც. დემოკრატებმა გაიყვანეს 17 ხმოსანი, სოც. რევოლუციონერებმა 6, სოც. ფედერალისტებმა 2, ნაც. დემოკრატებმა 2. ხმების დათვლა ჯერ არ დამთავრებულა. ხსენებულ მაზრაში ასარჩევი იყო სულ 30 ხმოსანი.

◆ ტფ. საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციის განყოფილებამ დაამტკიცა „ქართველ მაჰმადიანების დაეხმარე საზოგადოების“ წესდება.

◆ რუსთა ეროვნული საბჭო აწყობს ნეიტრალურ ზონასთან საკონსულის გაცვლას, მომარაგების სამინისტროსთან შეთანხმებით, რისთვისაც ს. ვორონცოვკაში საკანტროლო საგანმანაწილებელი აპარატს აწყობს.

◆ მომარაგების სამინისტროს დავალებით რუსთა ეროვნული საბჭო შეუდგა თივის დამზადებას.

◆ დამფუძნებელ კრების საბიუჯეტო საფინანსო კომისიამ დაამტკიცა მომატება სახელმწიფო მოსამსახურეთათვის 1 თებერვლიდან 30%—60%-მდე.

◆ საგარეო საქმეთა სამინისტროს დირექტორათ დაინიშნა ზურაბ ანიპოდისტეს ძე მაჩაბელი.

◆ სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა სიღნაღის გვარდიის შტაბის მუშაობაში მონაწილეობის მიღებათ თავის წარმომადგენლათ დანიშნა მთავარ შტაბის წევრი ღ. შვილი.

◆ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი ეძებს შენობას სასანიტარო საექიმო განყოფილებისათვის.

◆ საქართველოში მყოფ სომხურ სკოლების ინსპექტორათ დაინიშნა ვ. ჭითა მე-4 გიმნაზიის მასწავლებელი ბ. მამულოვი, რომელიც უკვე შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

წერილი რედ. მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მე 23 ნომერში, სხვათა შორის, მოთავსებულია ცნობა, ვითომ მიწის აზომელთა პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელნი არ ესწრობოდენ ერობათა აგრარულ განყოფილებების გამგეების სხდომებს. ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია. კავშირის წარმომადგენელნი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ ერობათა წარმომადგენების მიერ აგრარულ რეფორმის დასაჩქარებლად შესაფერ ზომების გამომუშავებაში, როგორც ყველა საერთო კრებებზე, ისე კომისიაში.

მიწ. ნზ. პროფ. კავ. ცენტრ. კომიტეტი.

განცხადებანი

ბესარიონ პეტრეს ძე რუხაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიც იყო ფულათ 526 მანეთი, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მილიციელის ტრამვაის უფასო ბილეთი, თოფის ჩაბარების კვიტანცია, ვერცხლის ჯვარი და სამსახურიდან აღებული საბოლოო ანგარიში. ყველა საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს.

177 3—3

სერგო ალექსანდრეს ძე ჭარასანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, საფულე და 33100 მანეთი. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 164 2—3

ზაქარია ორჯონიკიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა გერმანიის სანაოსნო საზოგადოების „დოლიანდ“-ის „კონოსამენტი“ № 11. მპოვნელს თხოვს დაუბრუნოს შემდეგი მისამართით: აკრმოვის ქ., № 1. ზაქარია ორჯონიკიძეს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ითვლება. 179 3—3

ივანე მელქოს ძე ვარძელოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ორი ნაყოდობის სიგელი: 1. სიგელი, რომლითაც მან შეიძინა სიმონიობის ძე ნაბიჭვრიშვილისაგან უძრავი ქონება, მდებარე ქ. ტფილისის მე 8 უბანში, სიგელი დამტკიცებულია ტფ. ოლქ. სასამ. უფრ. ნოტარიუსის მიერ 1917 წ. ივლისის 6 ს, რეესტრი № 1816. 2. სიგელი, რომლითაც მისმა ცოლმა დარო სოლომონის ასულმა ვარძელოვისამ შეიძინა სერგო, ივანე და ვასილ სოლომონის ძეთ კარაპეტოვებისაგან უძრავი ქონება, მდებარე ქ. ტფილისის მე 5 უბანში. სიგელი დამტკიცებულია ტფ. ოლქ. სასამ. მიერ 1908 წ. დეკემბრ. 22 ს, რეესტ. № 2800. სიგელები გაუქმებულათ ითვლება. 155 3—3

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მიროტინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ეკსი ვექსილის ბლანკი (სამ ფუთ ცლად), შეგვებელი. ბლანკსე ხელი მოწერილი ქონდა ვ. ა. მიროტინს. ხელმოწერილი ბლანკი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 173 3—3

ალექსანდრა შოსეს ასული ისაევა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული სპარსეთის საკონსულოდან და მეტრიკული მოწმობა. პასპორტი და მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 186 3—2

პაველ მაქსიმეს ძე ცოტაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა იარაღის ტარების ნებართვა, აღებული მეორე უბნის გვარდიის შტაბში 1920 წ. იანვრის 1 ს. ტანისამოსის ორდერი და ნებართვა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 181 3—2

სპარსეთის ქვეშევრდომი გუსეინ აბდულ ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა წიგნაკი, რომელშიაც იყო ფულათ 260 მანეთი, 250 მან. ბონი და 10 მან. რუსეთის საკრედიტო ბილეთი, პასპორტი, აღებული სპარსეთის საკონსულოდან და ქალაქის გამგეობიდან აღებული ვაჭრობის ნებართვა. პასპორტი და ნებართვა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 182 3—2

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 86171—100 მანეთის. კვიტანცია გაუქმებულათ ჩაითვალოს. 180 3—2

იბრაგიმ ზეინალოვი აცხადებს, რომ მან ამა წლის 1 თებერვალს სალდათების ბაზარზე დაჰკარგა 1865 წელს. სიონის მონასტრის თავისუფალ ადგილის, პაველ ნიკოლოვის მიერ იჯარით აღების პირობის პირი. პირობა დაბეჭდილია ბერძნულ ენაზე. მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნოს 5 კომ. სურფსარქისის ქუჩა № 24 ზეინალოვს. 178 3—2

ბათუმის კომერციულ ბანკის ტფილისის განყოფილება ამით აცხადებს, რომ მის მიერ ბარბარე სოკრატის ასულ გიზიზე 1916 წ. დეკემბრის 13 ს მიცემული კვიტანცია № 7266/1143, რომლითაც მიბარებული ჰქონდა შესანახათ 5½% ობლიგ. 1915 წ. II შინ. სახელმწ. სესხის 20,000 მან., დაკარგულია და გაუქმებულათ ითვლება. 144 3—2

ბათუმ-დონის კომერციულ ბანკის ტფილისის განყოფილება ამით აცხადებს, რომ მის მიერ ანგელ სოგრატის ძე გიზიზე 1916 წ. დეკემბრის 13 ს მიცემული კვიტანცია № 7265/1142, რომლითაც მიბარებული ჰქონდა შესანახათ 5½% ობლიგ. 1915 წ. II შინ. სახელმწ. სესხის 60,000 მ., დაკარგულია და გაუქმებულათ ითვლება. 145 3—2

ფატმან დიმიტრის ასული დორონა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებიდან აღებული ორი სულის სასურსათო ბარათი № 27618. ბარათი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 174 3—3

ქ. ტფილისის მე-15 ტე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვლებულ სტეფანე გრიგოლის ძე ვართანიანცის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ მათ 1241 მუხ X ტ. 1 ნ. სამოქ. კანონ დაწესებულ ვადაში თავიანთი უფლება ვართანიანცის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე. 195 1—1

ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს რეგისტრაციული განყოფილების 3 ნოემბრის დადგენილებისა შეტანილია კოოპერატიულ აქციონერთა ნუსხაში, წესდება ქ. ოზურგეთის მეეტლეთა ამხ. მომხმ. საზოგ. „ბირჟას“, დამტკიცებულის ქ. ოზურგეთში. 0187 1—1

სიბლ. სამ. წარმ. წეს. მე—816, 847, და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ ქ. ბაქოს მცხოვრებს ვ. კოვალსკის, დანაშ. 1015 და 1065 მ. მ. დაკარგულის ნიშნებია:

ყველა, ვინც იცის კოვალსკის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საანგარიშო გამგეობას. 2131 1.1

ალექსანდრა დავითის ასული კერესელიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სალექციო წიგნაკი, აღებული ტფილ. სახელმწ. უნივერსიტეტში № 1194. მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნოს პატრონს, შემდეგი მისამართით: ალექსანდრეს ქ. № 54. წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნაკი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 200 2—1

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 84932—1500 მანეთის. კვიტანცია გაუქმებულათ ჩაითვალოს. 199 3—1

ტფილისის გარეუბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვლებულის ვაროს მარტიროსას ძე ყაზანჯიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ხსენებულ ყაზანჯიანცის ქონებაზე კანონთა კრებულის მე X ტომის 1 ნაწ. მე 1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში. 188 1—1

ტფილისის გარეუბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის სარქის აფხაზიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ხსენებულ აფხაზიანცის დარჩენილ ქონებაზე კანონთა კრებულის მე X ტომის 1 ნაწ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 187 1—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა. რედაქტორის მოვალ. ალმ. გრიგოლ მაჭავარიანი